

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და  
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

ერთი მხრივ სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“), მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის და მეორე მხრივ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მისი რექტორის მაკა ბერიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა ორმხრივი დაინტერესებით, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობით, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგი პირობებით:

### 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე მემორანდუმი არეგულირებს მხარეებს შორის ურთიერთობებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მხარეები აღიარებენ „ცენტრში“ დაცული ძეგლების უნიკალურობას, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას, მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ადგილს მსოფლიო ისტორიის, კულტურისა და მწერლობის საგანძურში;

მხარეები ათვითცნობიერებენ აღნიშნული ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობასა და აუცილებლობას;

მხარეები ისწრაფვიან ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოში სამეცნიერო კვლევის განვითარებისკენ, მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად;

მხარეები წახალისებენ ურთიერთობათა განვითარებას ზემოაღნიშნულ სფეროში განახორციელებენ თანამშრომლობას უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო -კვლევით დაწესებულებათა შორის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

მხარეები ადასტურებენ თავიანთ ნებას, ქმედუნარიანობასა და უფლებამოსილებას;

მხარეები ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მხარეებს შორის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი პოპულარიზაციის, აგრეთვე მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებას;

მხარეები თანამშრომლობისას ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

### 2. თანამშრომლობის მიზნები

საკუთარ კომპეტენციათა ფარგლებში სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა და განვითარება;

უნივერსიტეტის მაგისტრების და დოქტორანტების უზრუნველყოფა სამეცნიერო თანახელმძღვანელობით და კვალიფიციურ კვლევაზე ორიენტირებული სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება.

### 3. ურთიერთთანამშრომლობის საგანი

3.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

3.1.1. ცენტრის თანამშრომელთა სამეცნიერო მიღწევების გამოყენებასა და პოპულარიზაციას უნივერსიტეტში და მის პარტნიორ უნივერსიტეტებში;

3.1.2. ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების საჯარო ლექციების ორგანიზებას უნივერსიტეტში;

3.1.3. საჭიროების შემთხვევაში აუდიტორიების, სალექციო და სხდომათა დარბაზების გამოყოფას კონფერენციების, ლექციების და სემინარების ჩატარებისთვის.

3.2. ცენტრი უზრუნველყოფს:

3.2.1. საერთო კვლევისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად სამეცნიერო ურთიერთობების და დახმარებას სხვა წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან;

3.2.2. უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორებისთვის ცენტრის ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობას;

3.2.3. უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ცენტრში სტაჟირების გავლას.

### 4. სხვა დებულებანი

4.1. მემორანდუმი ძალასი შედის ხელმოწერის დღიდან;

4.2. მემორანდუმის ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობით, მემორანდუმში დამატების სახით ან ახალი ხელშეკრულებით.

4.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 29 ოქტომბერს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

### 5. მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის  
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის  
დირექტორი  
ზაალ აბაშიძე



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახემწიფო  
უნივერსიტეტის რექტორი,  
ასოცირებული პროფესორი  
მაკა ბერიძე

